საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-374

2023 წლის 30 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-9 მუხლისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესი“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული რედაქციით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ემბლემა, მათ შორის, მედიასთან საკომუნიკაციო ბანერის ნიმუში;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკის ნიმუშები;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**